



**SBA**

განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა

2017-2023 წწ

თბილისი  
2017 წელი

შინაარსი

წინასიტყვაობა .....	3
1. პრეამბულა .....	4
2. ხედვა.....	5
3. სტრატეგიული მიზნები .....	5
4. საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.....	5
5. SWOT ანალიზი .....	6
6. სტრატეგიული განვითარების გეგმა .....	8
7. გამოყენებული შემოკლებები .....	10

## წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“ (შემდეგში „SBA“) სტრატეგიული განვითარების გეგმის ახალ ვერსიას, რომლის შემუშავების აუცილებლობა გამოწვეულია განათლების სისტემაში ახალი კონცეპტუალური ხედვის ჩამოყალიბებით, რამაც ასახვა ჰპოვა საქართველოს მთავრობის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ სხვადასხვა დოკუმენტებში.

გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები და მოთხოვნები:

1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
2. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
3. საქართველოს პრემიერ მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის ბრძანება N300 „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020) დამტკიცების თაობაზე“;
4. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, EPPM, 2013; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები“;
5. განათლების სისტემის ერთიანი სტრატეგია (2014-2024);
6. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;
7. შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის სტრატეგიული გეგმის შემუშავების ინსტრუქცია.

სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო ასევე აკადემიის მიერ წარმოებული მომხმარებლის გამოკითხვის, საქმიანობისა და ხარისხის სისტემის, EFQM-სრულყოფის მოდელის (RADAR), აკრედიტაცია-ავტორიზაციის თვითშეფასებისა და გარე ვალიდატორების/ექსპერტების ანალიზის დოკუმენტები.

სტრატეგიული გეგმა არის მოქნილი დოკუმენტი და მისი მოდიფიცირება შესაძლებელია ქვეყანაში არსებული რეალობისა და განათლების სფეროში განხორციელებული სიახლეების შესაბამისად ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა წინამდებარე დოკუმენტი.

## პრეამბულა

შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“ დაარსდა **2010 წლის 4 ნოემბერს**. 2011 წელს მოიპოვა საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი, ხოლო 2013 წელს - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“ (შემდეგში აკადემია ან SBA) იმ მცირერიცხოვან დაწესებულებათა რიცხვს მიეკუთვნება რომლებიც მონოპროფილურია. დაწესებულება საზოგადოებას ძირითადად სთავაზობს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების აკადემიურ და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

SBA მიუხედავად მისი ხანმოკლე ისტორიისა, ეროვნულ საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი პრესტიჟული სასწავლებელია, რომელიც არ წყვეტს განვითარებაზე ზრუნვას. ის მდგრადი და ბალანსირებადი მზარდი დაწესებულებაა, რომელიც ორიენტირებულია მიღწეული შედეგების არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

საგანმანათლებლო სისტემის განვითარების გლობალური ტენდენციები და მძაფრი კონკურენცია განაპირობებს, დაწესებულებამ მართვის, სწავლებისა და სწავლის სისტემა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს თანამედროვე ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, პროგრესზე ორიენტირებული, ღირებულებების მატარებელი, მაღალი პროფესიული კვალიფიკაციისა და უნარების მქონე კადრის მომზადება.

საკუთარი მისიის განხორციელების უზრუნველსაყოფად, დაწესებულების სტრატეგიას წარმოადგენს, ხარისხის სისტემისა და მენეჯმენტის მუდმივი გაუმჯობესება, SBA-ს მისია ასევე ინდივიდის პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა. სწორედ გამორჩეული მენეჯმენტისა და წარმატებით განხორციელებული პროექტებისთვის, SBA-მ 2015 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ევროპის ხარისხის მართვის ფონდის (EFQM) ნიშანი - **Committed to Excellence 1 Star** - მოიპოვა.

სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზანია, გამოკვეთოს ის პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები, რომლებზე დაყრდნობითაც დაწესებულება უზრუნველყოფს საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება-განვითარებას, თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად.

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები განისაზღვრება ერთობლივად, დაწესებულების მენეჯმენტისა და პერსონალის მიერ და ეყრდნობა ქვეყნის ეკონომიკას, განათლების პოლიტიკასა და მომხმარებლის მოთხოვნებს. დაწესებულების სტრატეგიული პოლიტიკა ორიენტირებულია დაწესებულების ხარისხის სისტემის მუდმივ გაუმჯობესებაზე, მომზადოს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, ხელი შეუწყოს ადამიანური პოტენციალის განვითარებას, კონკურენტუნარიანობას რაც თავის მხრივ ეფუძნება მრავალმხრივ ცოდნასა და უნარებს.

წინამდებარე სტრატეგია წარმოადგენს მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების საფუძველს.

❖ ხედვა

დაწესებულების კარდინალურ ხედვას წარმოადგენს:

*განათლების სფეროში ეროვნული და მსოფლიო ღირებულებების დამკვიდრება და საქმიანობის ყველა ეტაპზე ხარისხის უზრუნველყოფა.*

❖ სტრატეგიული მიზნები

SBA-ს სტრატეგიულ მიზნებს წარმოადგენს:

1. ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და დინამიურ სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში წარმატებისათვის ხელშეწყობა;
2. დაწესებულების მართვისა და სწავლების პროცესების მუდმივი გაუმჯობესება;
3. დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარება;
4. დაწესებულების ცნობადობის უზრუნველყოფა.

❖ საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

დაწესებულების მართვის პრინციპებისა და ხარისხის სისტემის პოლიტიკის განხორციელების, მისიისა და დასახული სტრატეგიის შესრულების უზრუნველსაყოფად, SBA-ს საქმიანობას ახორციელებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

1. მიღწეული შედეგების შენარჩუნება და გაუმჯობესება;
2. მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა, ეფექტიანობის გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობის გაზრდა;
3. სტუდენტებისა და პერსონალის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
4. ადამიანური რესურსების ეფექტიანი პოლიტიკის წარმართვით ორგანიზაციული ეფექტიანობის გაუმჯობესება;
5. ინფორმაციულ-მატერიალური რესურსების განვითარება და მათი ეფექტური მართვა;
6. დაწესებულების პოპულარიზაცია, პარტნიორობის გამლიერება;
7. მომხმარებლის მოთხოვნებისა და ასევე, საგანმანათლებლო პოლიტიკის კონტექსტში განვითარების მიზნებისა და საჭირო ღირებულებების მუდმივი ანალიზი და მათ საფუძველზე ოპტიმალური სტრატეგიის არჩევა;
8. ხარისხის სისტემის პოლიტიკისა და სტრატეგიის განხორციელების უზრუნველსაყოფად საჭირო რესურსების გამოყოფა, კრიტერიუმებისა და მეთოდების დადგენა, პროცესების მართვის შედეგიანობის უზრუნველსაყოფად.

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2017-2023 წ.წ.

N	სტრატეგიული მიზანი და შესრულების სტრატეგია	საზომი ერთეული	შესრულების ვადა							შესრულების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ს.ე.	შენიშვნა	
1	2	3	4							5	6	
1.	ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და დინამიურ სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში წარმატებისათვის ხელშეწყობა											
	<i>შესრულების სტრატეგია</i>		<i>2017</i>	<i>2018</i>	<i>2019</i>	<i>2020</i>	<i>2021</i>	<i>2022</i>	<i>2023</i>			
1.1.	შრომის ბაზრისა და მომხმარებლის მოთხოვნების ანალიზი საჭიროებების იდენტიფიცირების გამოვლენის მიზნით		X	X	X	X	X	X	X	ხმს; ბაგ; BCC <sup>1</sup>	წელიწადში ერთხელ	
1.2.	უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარების განვითარების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების/მოდულების უცხოურ ენაზე განხორციელების უზრუნველყოფა	1 ერთ.		X		X		X		ხმს; ბაგ; პგდ; უცხოენების სკოლა		
1.3.	ინფორაციული ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენების უნარების გაძლიერების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების ანალიზი და სწავლების მეთოდური მითითებების შემუშავების უზრუნველყოფა	2 ერთ.	X	X	X	X	X	X	X	ხმს; ბაგ; პგდ; IT სკოლა, უცხოენების სკოლა		
1.4.	უწყვეტი განათლების სისტემის უზრუნველყოფა	1 ერთ.	X	X	X	X	X	X	X	ხმს; პგდ		
1.5.	გაცვლითი ან/და ერთობლივი პროგრამების შემუშავება-დანერგვა	1 ერთ.		X			X			ხმს; ბაგ; სუდ		
1.6.	სამაგისტრო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება	1 ერთ.				X				ხმს; ბაგ		
1.7.	სტუდენტთა მოტივირების, შეღავათების და დახმარების სისტემის გაუმჯობესება			X						ხმს; ბაგ; სს		
1.8.	სტუდენტთა კონტიგენტის მოზიდვა	%	25	30	30	35	40	45	50	PR, სუდ		
1.9.	პროფესიული განათლების რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა და ღონისძიებების დაგეგმვა	1 ერთ.	X	X	X	X				ხმს; ბაგ; პგდ;		
1.10.	კურსდამთავრებულთა ეფექტური კომუნიკაციის ინსტრუმენტების შემუშავება									PR, ადმინისტრაცია		
2.	დაწესებულების მართვისა და სწავლების პროცესისა და ხარისხის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება											
	<i>შესრულების სტრატეგია</i>		<i>2017</i>	<i>2018</i>	<i>2019</i>	<i>2020</i>	<i>2021</i>	<i>2022</i>	<i>2023</i>			
2.1.	შიდა პროცესების უზრუნველყოფისა და ინფორმაციის მართვის მექანიზმების შემუშავება	1 ერთ.	X							ხმს, ადმინისტრაცია		

2.2.	საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი და აქტუალიზაცია			X				X			ხმს, ბაფ, პგდ	ყველა პროგრამა 3 წელიწადში ერთხელ
2.3.	დაწესებულების პროცესების ანალიზი და ხარისხის კონტროლის მექანიზმების შემუშავება		X	X	X	X	X	X	X	X	ხმს, ხმს, ბაფ, პგდ; ადმინისტრაცია	წელიწადში ერთხელ ყველა დოკუმენტის ანალიზი
2.4.	სწავლების ინოვაციური მიდგომების დანერგვა	1 ერთ	X	X	X	X	X	X	X	X	ხმს, ბაფ, პგდ, IT სკოლა	წელიწადში მინიმუმ 1 სასწავლო კურსი
2.5.	აკადემიის საგამომცემლო საქმიანობის გაძლიერება - სასწავლო-მეთოდოლოგიური მასალების შემუშავება	1 ერთ	X	X	X	X	X	X	X	X	ხმს, ბაფ, პგდ, ბიბლიოთეკა	წელიწადში არანაკლებ ორი სასწავლო კურსისთვის (1 საბაკალავრო, 1 პროფესიული)
2.6.	სასწავლო და საბიბლიოთეკო სერვისების გაუმჯობესება		X	X	X	X	X	X	X	X	ხმს, ბაფ, პგდ, ბიბლიოთეკა	
2.7.	პროფორინტაციის ღონისძიებების განხორციელება		X	X	X	X	X	X	X	X	პგდ, PR, სუდ	
3.	<b>დაწესებულების მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების განვითარება</b>											
	<i>შესრულების სტრატეგია</i>			<i>2017</i>	<i>2018</i>	<i>2019</i>	<i>2020</i>	<i>2021</i>	<i>2022</i>	<i>2023</i>		
3.1.	პერსონალის საჭიროებების კვლევა		X	X	X	X	X	X	X	X	ხმს, ადმინისტრაცია	წელიწადში მინიმუმ ერთხელ
3.2.	პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების უზრუნველყოფა/ტრენინგების ორგანიზება	%	X	X	X	X	X	X	X	X		წელიწადში მინიმუმ 10%
3.3.	პერსონალის ატესტაციის დანერგვა	1 ერთ			X						ხმს	მუდმივ შტატში მყოფთა 3 წელიწადში ერთხელ, მოწვეული პერსონალის ყოველწლიურად
3.4.	საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა (შეფასების, შერჩევის, როტაციის, წახალისების, შრომის ანაზღაურების სისტემებისა შემუშავება-გადახედვა)		X	X							ხმს, ადმინისტრაცია	
3.5.	პროფესიული განათლების მასწავლებლებში პედაგოგიური უნარების გაძლიერების უზრუნველყოფა	%	10	10	10	10	10	10	10	10	ხმს, პგდ	
3.6.	მატერიალური ბაზის გაუმჯობესება	%	5	5	10	10	10	10	10	10	სს, მტუ სამსახური	
3.7.	ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტების აღჭურვა- მოდერნიზება და პროგრამული უზრუნველყოფა	%	-	10	10	10	10	10	10	10	ხმს, IT სკოლა, სს, მტუ სამსახური	
3.8.	სსმ და შშმ პირებისთვის ინფრასტრუქტურის განვითარება	%	10	10	10	10	10	10	10	10	მტუ სამსახური, სს	

3.9.	პერსონალის სამუშაო გარემოს თანამედროვე ერგონომიულობისა და უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად უზრუნველყოფა	%	10	10	10	10	10	10	10	10	მტუ სამსახური, სს, სამედიცინო სამსახური	
<b>4.</b>	<b>დაწესებულების ცნობადობის უზრუნველყოფა</b>											
	<i>შესრულების სტრატეგია</i>		<i>2017</i>	<i>2018</i>	<i>2019</i>	<i>2020</i>	<i>2021</i>	<i>2022</i>	<i>2023</i>			
4.1.	დაწესებულების პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება	1 ერთ.	X	X	X	X	X	X	X	X	PR, სუდ	წელიწადში მინიმუმ ერთი აქტივობა
4.2.	თანამშრომლობის გაღრმავება დარგობრივ, პროფესიულ ასოციაციებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან	1 ერთ.	X	X	X	X	X	X	X	X	PR, სუდ	
4.3.	პარტნიორობის განვითარება ქვეყნის შიგნით და ფარგლებს გარეთ	1 ერთ.	X	X	X	X	X	X	X	X	PR, სუდ	წელიწადში მინიმუმ ერთი ახალი პარტნიორის დამატება/წართვა სასწავლო პროცესში
4.4.	SBA-ს განვითარების ფონდის/მეგობართა კლუბის დაარსება	1 ერთ.	X								PR, სუდ	

<sup>i</sup> გამოყენებული შემოკლებები:

- ს.ე. - სტრუქტურული ერთეული
- ხმს - ხარისხის მართვის სამსახური
- ბაფ - ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
- პგდ - პროფესიული განათლების დეპარტამენტი
- BCC - ბიზნესის საკონსულტაციო ცენტრი
- სს - საფინანსო სამსახური
- მტუ სამსახური - მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური
- PR - საზოგადოებათან ურთიერთობის სამსახური
- IT სკოლა - საინფორმაციო ტექნოლოგიების სკოლა
- სუდ - სათაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი